თემა 21

ქალაქი

Город

ამოცანები:

- ვასწავლოთ ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ მოსწავლეებს, თუ როგორ უპასუხონ შეკითხვებს ქალაქის შესახებ.
- ამ გაკვეთილზე მოსწავლეები ისწავლიან როგორ ისაუბრონ სხვადასხვა ადგილის/დაწესებულების შესახებ ქალაქში, ასევე დააკავშირონ ეს დაწესებულებები ადამიანებთან, რომლებიც აქ მუშაობენ (მარტივი ინფორმაცია პროფესიების შესახებ).
- ვასწავლოთ ქალაქთან, ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები (შენობა, მოედანი, ქუჩა, გამზირი, სართული, კიბე...)
- მოსწავლეები ისწავლიან ასევე მოქმედების აღმნიშვნელ ზმნებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა დაწესებულებაში ადამიანთა სამუშაოსთან.
- სხვადასხვა საქმიანობის/სამუშაოს მიმოხილვისა და ამ კუთხით ლექსიკის გასამდიდრებლად ეს გაკვეთილი სასარგებლოა.
- გაკვეთილი ფოკუსირებულია არსებით სახელებზე, რომლებიც ქალაქში სხვადასხვა დაწესებულებასა და სამუშაოს აღნიშნავს/უკავშირდება. მაშასადამე გამოვიყენებთ ზმნას "მუშაობა" ახლანდელ დროში და მხოლობითი რიცხვის მესამე პირში.

გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა:

1. მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს ქალაქის (თბილისის) რამდენიმე უბნის სურათებს (მაღალი სახლები, ქუჩა, გამზირი, გზაჯვარედინი, შუქნიშანი, სართული, აივანი, გასართობი პარკი, საბაგირო, ფუნიკულიორი...). თითოეულ დეტალზე ამახვილებინებს ყურადღებას, ამბობს სახელწოდებას და ამეორებინებს.

2. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს:

ამბავი:

ნიკა და სონა ქალაქში მარტონი არიან. ისინი ერთი ადგილიდან მეორეში ინაცვლებენ (გადადიან ქუჩაზე, ხვდებიან პატრულს, შედიან სუპერმარკეტში, გასართობ პარკში, ადიან ფუნიკულიორზე, სხდებიან კაფეში. ნიკა და სონა საუბრობენ პროფესიების შესახებ.

3. თამაში # 23-1

უბნის რუკა: წინასწარ მოვამზადოთ ბარათები („უბნის რუკა“), რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა შენობის კონტურები. უნდა შეირჩეს ის შენობები, რომლებიც ტიპობრივია/დამახასიათებელია ჩვენი უბნისთვის. მაგალითად, სკოლა, აფთიაქი, სამკერვალო სალონი, სამედიცინო პუნქტი და ა.შ. სასურველია, ყველა შენობას თან ახლდეს ასევე შესაბამისი სიმბოლო, თუ არის ამის საშუალება (მაგ., აფთიაქს ჰქონდეს წითელი ჯვარი, სკოლას - წარწერა „სკოლა“ და ა.შ.) ბავშვები სეირნობის პროცესში ან ჯგუფში დაბრუნებისას რუკაზე აღნიშნავენ იმ შენობებს, რომლებიც მოინახულეს; შეეცდებიან გააფერადონ და შეავსონ იმ დეტალებით, რომლებიც დაამახსოვრდათ. შეგვიძლია დავეხმაროთ ბავშვებს გახსენებაში და ვკითხოთ: ”ჩვენს ბაღთან ყველაზე ახლოს რა იყო? რით დაგამახსოვრდათ? როგორ მიხვდით, რა ზე ახლოს რა იყო? რით დაგამახსოვრდათ? როგორ მიხვდით, რა შენობა იყო ეს? რისთვის დადიან იქ ადამიანები? რა ფერის იყო შენობა?” და ა.შ.

4. თამაში # 23-2

იხვი, იხვი, ბატი

კატეგორია- საუბარი (პროფესიების აღმნიშვნელი სახელების დასწავლა)

სივრცე- წრე, სადაც შეიძლება წრის შემორბენა

თამაშის წესი: დასხით მოთამაშეები წრიულად. ერთი ბავშვი შემოირბენს წრის ირგვლივ და იძახის “პატრული“, თან ეხება თითოეულ მოთამაშეს მხარეს, ეს გრძელდება მანამ სანამ წრეში მჯდომი მოთამაშე არ გადაწყვეტს გადაიქცეს „ოფიციანტად“. როგორც კი იტყვის სიტყვას “პილოტი“, ის წამოხტება, და წრის გარშემო დაედევნება იმ მოთამაშეს, რომელიც მას შეეხო მხარზე და ეცდება დაიწიროს მანამ სანა მთელ წრეს შემოურბენს გარშემო და დაასწრებს „პილოტის“ ადგილზე დაჯდომას. („პილოტი“ ვერასოდეს იჭერს „პატრულს“, რადგან მას აქვს დაწყების უპირატესობა). შესაბამისად „პილოტი“ გადაიქცევა „პატრულად“ და აგრძელებს თამაშს ისე, როგორც ეს თავიდანაა აღწერილი.

- თამაშის დროს შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ სიმღერა ან ლექსი, რომელსაც მოსწავლეები უნისონში წარმოთქვამენ.

ლექსიკა	ძირითადი ფრაზები/წინადადებები/გრამატიკა
დაწესებულებები ქალაქში: • ბანკი,	• ექიმი მუშაობს საავადმყოფოში

• ფოსტა, • სტადიონი, • რესტორანი, • სავაჭრო ცენტრი, • წიგნების მაღაზია, • პარკი, • აეროპორტი, • საავადმყოფო, • პოლიციის შენობა. სამუშაო: • ექიმი, • პოლიციელი • გამყიდველი • ოფიციანტი • მუშაობს • ყიდულობთ • ვაგზავნით	• გამყიდველი მუშაობს სუპერმარკეტში • პილოტი მუშაობს აეროპორტში • ჩვენ ვაგზავნით წერილებს ფოსტიდან • ჩვენ ვყიდულობთ წიგნებს წიგნების მაღაზიაში **"მუშაობა"** (ახლანდელი დრო) • მე **ვმუშაობ** საავადმყოფოში (პირველი პირი) • ექიმი **მუშაობს** საავადმყოფოში (მხოლობითი რიცხვის მესამე პირი) • მამაჩემი **მუშაობს** საავადმყოფოში (მხოლობითი რიცხვის მესამე პირი) • ექიმები და ექთნები **მუშაობენ** საავადმყოფოში (მრავლობითი რიცხვის მესამე პირი) ისინი **მუშაობენ** საავადმყოფოში (მრავლობითი რიცხვის მესამე პირი)

რესურსი:

კარტები-ნახატები ქალაქის თემაზე

5 სახალისო ნახატი ქალაქის სხვადასხვა ნაწილის/ უბნის გამოსახულებით;

5 ნახატი - პროფესიები